

ჰიდროელექტროსადგური მდინარე ფარავანზე

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ
დაფინანსებული პროექტის ზემოქმედების კვლევა



თბილისი 2013

მწვანე ალტერნატივა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელი მადლობას უხდის ევროკავშირს და ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდს ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ევროკავშირის და/ან ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის შეხედულებათა ამსახველად.



© ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელი; მწვანე ალტერნატივა, 2013



სარჩევი

1. ფონური ინფორმაცია -----	2
2. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პრობლემატური მხარეები -----	4
2.1 ზემოქმედება გარემოზე -----	4
2.2 სოციალური ზემოქმედება -----	5
2.3 პროექტის იურიდიული ასპექტები -----	6
2.4 ფინანსური ინსტიტუტების როლი პრობლემატური საკითხების გადაწყვეტისას -----	7
2.5 წინააღმდეგობა ევროკავშირის დირექტივებთან და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებთან -----	9
3. დასკვნა -----	9
4. რეკომენდაციები ევროკავშირისთვის -----	10

1. ფონური ინფორმაცია

ენერგოსექტორის მიმოხილვა

უკანასკნელ წლებში, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად ენერგოსაფრთხობის კონცეფცია იქცა, რაც ძირითადად ენერგორესურსების წყაროების დივერსიფიკაციას ისახავდა მიზნად. კონცეფცია გულისხმობს რუსეთის გვერდის ავლით, კასპიის ზღვის რეგიონში უამრავი ნავთობსადენის თუ გაზსადენის და მიწოდების მარშრუტების მხარდაჭერას, მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციის უზრუნველყოფის მიზნით. შედეგად, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და ასევე ევროკავშირის სპეციალური პროგრამების მხარდაჭერით, როგორცაა მაგალითად INOGATE, ბოლო ათწლეულის მანძილზე ევროპულმა კომპანიებმა უზრუნველყვეს ნავთობის და გაზის მთელი რიგი საბადოების და მილსადენების განვითარება კასპიის რეგიონში.

პარალელურად, ევროკავშირი ხელს უწყობს მეზობელი ქვეყნებიდან ელექტროენერჯის ექსპორტს როგორც არსებული გადამცემი ხაზების მეშვეობით, ასევე ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობის მხარდაჭერით, მიუხედავად იმისა რომ „გენერირების ობიექტები დაბალი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებით“ გამოირჩევა¹.

ტრანსევროპული ენერგოკორიდორების განვითარების პროგრამა და სხვა მსგავსი პროგრამები, საშუალებას აძლევს და უზიარებს კიდევ ელექტროენერჯის ექსპორტიორებს, ისარგებლონ გარემოს დაცვით სტანდარტებში არსებული ხარვეზებითა და განსხვავებებით და გაზარდონ ელექტროენერჯის ექსპორტი მეზობელი ქვეყნებიდან ევროკავშირში. „მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერჯის ადგილობრივ წარმოებას აშკარა უპირატესობები გააჩნია, ევროპაში ყოველთვის იარსებებს რეგიონები, რომელთაც შეუძლიათ გახდნენ ელექტროენერჯის ექსპორტიორები, განახლებადი ენერგორესურსების, მაგალითად, ჰიდროენერგორესურსების, კონცენტრაციის გამო²“. მიუხედავად იმისა, რომ არსებული რიტორიკის თანახმად, „ამგვარი ექსპორტის ხელშეწყობა მოითხოვს, რომ გადამცემი ხაზების მშენებლობა და მოვლა-პატრონობა უნდა ხორციელდებოდეს ევროკავშირის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად“, პრაქტიკაში, ასეთი ქვეყნების სექტორში ინვესტიციების ჩადება წარმოშობს კიდევ უფრო მეტ პრობლემას და ამავდროულად, ხელს უწყობს არამდგრადი ენერგეტიკის განვითარებას.

საქართველო მისწრაფვის ევროკავშირში განვერიანებისკენ და ეს თემა წითელ ზოლად გასდევს ყველა პოლიტიკურ მოლაპარაკებას. საქართველო ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ესპ-ის) წევრია, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ასოციაციის ხელშეკრულების (მათ შორის – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების) შესახებ.

საქართველო გამოირჩევა სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობით და წყლის რესურსების სიმდიდრით. ქვეყანა ცდილობს ამ უპირატესობების გამოყენებას რათა გახდეს რეგიონალური ენერგეტიკული ცენტრი.³ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, მრავალი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დანუხებული ენერგეტიკული პროექტი კვლავ წამოტივტივდა და დაბრუნდა დღის წესრიგში. საქართველოს მთავრობა პროპაგანდირებს ახალი დიდი და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას, რომელთა საერთო დადგმული სიმძლავრე 3000 მეგავატზე მეტია. გეგმები მოიცავს როგორც დიდ კაშხლიან ჰიდროელექტროსადგურებს საქართველოს მთიან რეგიონებში, მათ შორის

ხუდონ ჰესი (მდ. ენგურზე, 702 MW დადგმული სიმძლავრე, წლიური გამომუშავება 1.5 TWh), ნენსკრას კასკადი (მდ. ნენსკრასა და ნაკრაზე 438 MW, 1.2 TWh) და ა.შ. გეგმები ასევე მოიცავს დერივაციული ტიპის ჰიდროსადგურებს: ფარავანი (87 MW), დარიალი (109 MW) და სხვა.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანახმად, ერთერთი წინაპირობა, რომ საქართველო გახდეს ელექტროენერჯის ექსპორტიორი თურქეთსა და სამხრეთაღმოსავლეთ ევროპაში ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის ჰარმონიზაციაა ამ ქვეყნების სისტემებთან. 2015-2017 წლებისთვის დაგეგმილია სამხრეთაღმოსავლეთ ევროპის ელექტროენერჯის ბაზარზე გასვლა.⁴

¹ <http://www.eu-energy.com/fs-import-final.pdf>

² იგივე

³ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, უპირველესი ამოცანაა საქართველოს ენერგოსისტემის ჰარმონიზაცია თურქეთის სისტემასთან და შემდგომში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე შედგენას 2015-2017 წლებში <http://csrdg.ge/upload/editor/file/ENPI/dokumentebi/ENP%20Report%202010%20-Geo.doc>

⁴ <http://csrdg.ge/upload/editor/file/ENPI/dokumentebi/ENP%20Report%202010%20-Geo.doc>

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (ერგბ, სსკ, ესბ) აქტიურად ჩაერთნენ სახელმწიფოს მიერ გაცხადებული მიზნის შესრულებაში, როგორც გადამცემი ხაზების მშენებლობაში ასევე ახალი ჰიდროელექტროსადგურების დაფინანსებაში.

მიზნის მისაღწევად, ხელისუფლებამ წამოიწყო მთელი რიგი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა საქართველოდან თურქეთამდე. მშენებლობები ფინანსდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკისა (KfW) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ.

2009 წელს შავი ზღვის 500კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის მშენებლობა საქართველოს გავლით აზერბაიჯანიდან თურქეთამდე, პროექტი მოიცავს გარდაბანიახალციხის, ზესტაფონიახალციხის და ახალციხეთურქეთის სასაზღვრო სექტორების რეაბილიტაციასა და მშენებლობას. ასევე, 500კილოვოლტიანი ქვესადგურის მშენებლობას (მაღალი ძაბვის მუდმივი დენით). პროექტი დაფინანსებულია EBRD-ის, EIB-ისა და KfW-ის მიერ. აქედან, 8080 მილიონი ევრო გამოყოფილი აქვს EBRD-სა და EIB-ს, ხოლო 100 მილიონი ევრო – KfW-ს. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას EIB-ისა და KfW-ის სესხი გამოეყო სახელმწიფო გარანტიით.

პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ევროკავშირის სამეზობლო ინვესტიციების ფონდიდან (EU NIF) გრანტის სახით გამოყოფილი 8 მილიონი ევროს მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა 2008 წლის მიწურულს. NIF-ის გრანტი გამოყენებულ იქნა ტექნიკური ექსპერტიზისათვის, პროექტის კონცეპტუალური დიზაინის განვითარებისათვის და ბიუჯეტის შესადგენად. 2009 წლის დასასრულს, NIF-იდან გამოიყო 3 მილიონი ევრო გარემოზე გადამცემი ხაზის მშენებლობის უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად⁵ პროექტის მიზანია, გაზარდოს საქართველოს ენერგეტიკული ქსელის სტაბილურობა, შეამციროს გადაცემის დანაკარგები და მოახდინოს მომარაგების წყაროების დივერსიფიცირება, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მომარაგების სისტემების თურქეთსა და ევროპასთან დაკავშირება და ელექტროენერჯის ექსპორტის გაზრდა ზაფხულის, რეგიონის ენერგოუსაფრთხოების ზრდასთან ერთად⁶. პროექტის თანახმად, 2018 წლისთვის საქართველოში იქნება 18 დიდი ახალი ჰესი, და გადამცემი ხაზის სრული შესაძლებლობის ათვისება მოხდება.

პირველი ახალი პროექტი, რომლის მშენებლობაც დაიწყო საქართველოში არის ფარავანი ჰესი მდ.ფარავანზე, დაფინანსდება სსკ-სა და ერგბ-ს მიერ.

პროექტის აღწერა

ფარავანის ჰესის პროექტი ითვალისწინებს მდინარე ფარავანზე (ახალქალაქის სიახლოვეს, თურქეთის საზღვრის მახლობლად) 87 მტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობას, ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობას. პროექტი ასევე მოიცავს 13.77 კმ სიგრძის გვირაბსა და 32 კმ სიგრძის 220-კილოვოლტიან გადამცემ ხაზს. გადამცემი ხაზი გაივლის ახალციხის ქვესადგურამდე, რომელიც უკავშირდება 400/500-კილოვოლტიან მაღალი ვოლტაჟის მქონე შავი ზღვის გადამცემ ხაზს. ეს ხაზი საქართველოს თურქეთთან აკავშირებს.

ფარავანჰესი არის პირველი ახალაშენებული ელექტროენერგეტიკული ობიექტი, რომელიც მიერთებულია გარდამქმნელ სადგურთან და რომელიც თურქეთთან დამაკავშირებელი ახალი საექსპორტო გადამცემი ხაზით სარგებლობს. პროექტის მთლიანი ღირებულება 156.5 მილიონი აშშ დოლარია. პროექტის სპონსორია ჯორჯია ურბან ენერჯი – თურქული კონგლომერატის „ანადოლუ ჯგუფის“ საქართველოს შვილობილი კომპანია. პროექტის დასაფინანსებლად ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა გამოყო 52 მილიონი დოლარი; მას ასევე გააჩნია 5 მილიონი დოლარის ოდენობის წილი კომპანია „ჯორჯია ურბან ენერჯიში“. დამატებითი 40.5 მილიონი აშშ დოლარი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ ჩადო პროექტის განსახორციელებლად და აგრეთვე მოახდინა 23 მილიონი აშშ დოლარის სინდიკატირება კომერციული ბანკებიდან.

საქართველოს მთავრობამ და ჯორჯია ურბან ენერჯიმ ურთიერთგაგების მემორანდუმს ფარავანჰესის მშენებლობაზე 2007 წელს მოაწერეს ხელი.

ფარავანჰესის პროექტის მიზანია, ელექტროენერჯით მოამარაგოს ქართული ბაზარი მამთრის სამი თვის განმავლობაში (დეკემბერი-თებერვალი) და მოახდინოს ელექტროენერჯის ექსპორტირება თურქულ ბაზარზე დანარჩენი ცხრა თვის მანძილზე. შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან ეფუძნება „შენება-ოპერირება-ფლობა“ მოდელს და 2007 წელს გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმს. 2009 წელს მემორანდუმში ცვლილებები იქნა შეტანილი. ჰესის მშენებლობა დაიწყო 2010 წელს და უნდა დასრულდეს 2014 წელს.

⁵ სამხრეთ კავკასიას გააჩნია საერთო ელექტროგადამცემი სისტემა <http://www.enpiinfo.eu/files/features/FT28%20east%20Georgia%20EN.pdf>

⁶ <http://www.enpi-info.eu/files/features/FT28%20east%20Georgia%20EN.pdf>

2012 წლის ნოემბერში, ჰესის მშენებლობა შეჩერდა, რადგან ჯორჯია ურბან ენერჯის კონტრაქტორმა თურქულმა კომპანიამ ILGI-მ დატოვა პროექტი. კონტრაქტორმა, კომპანიის განმარტებით, განიცადა ფინანსური და მატერიალური ბარაზი. პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში აღწერილი ქანები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. შესაბამისად, კომპანია იძულებული იყო უფრო მეტი ემუშავა ვიდრე თავდაპირველი კონტრაქტით იყო განსაზღვრული, გაეფუჭა სამშენებლო ტექნიკაც, თუმცა დამატებითი ხარჯები დამკვეთმა კონტრაქტორს არ გადაუხადა. ამ დროისთვის გვირაბისთვის გასათხრელი 14 კილომეტრიდან 13 გაყვანილია, თუმცა, აქედან დაბეტონებული მხოლოდ ერთი კილომეტრია.

პროექტის მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პროექტის შესაძლო ზემოქმედების შეფასება შეესაბამება EBRD-ის და IFC-ის სტანდარტებს. თუმცა, ჰესი, თავისი ტიპისა და საშუალო ზომის მიუხედავად, სავარაუდოდ, ძლიერ უარყოფით ზემოქმედებას იწონიებს მდინარე ფარავანზე. გარდა ამისა, კითხვის ნიშნებს იწვევს მისი ზემოქმედება განვითარების პროცესის ხელშეწყობაზე.

2. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პრობლემატური მხარეები

2.1 ზემოქმედება გარემოზე

პროექტი ითვალისწინებს 14 კმ სიგრძის დერივაციული გვირაბის აშენებას, რათა მდინარე ფარავანის წყალი გადასროლილ იქნას მდინარე მტკვრის კალაპოტში, სოფელ ხერთვისის კვეთში, და 220-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის აშენებას ქსელთან მისაერთებლად.

პროექტს ექნება ძლიერი უარყოფით ზემოქმედება მდინარე ფარავანის ბიომრავალფეროვნებაზე, რამდენადაც პროექტით დაგეგმილია მდინარე ფარავანის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 90%-ის მტკვრის კალაპოტში გადაგდება. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების თანახმად, მდინარეში დარჩება საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%, როგორც მინიმალური სანიტარული ხარჯი, რომელიც უზრუნველყოფს მდინარე ფარავანის ეკოსისტემის შენარჩუნებას. დოკუმენტის თანახმად, 10% „დასავლური სტანდარტების“ საფუძველზე დადგენილი (აღსანიშნავია, რომ არ ხდება მითითება რომელიმე სახელმძღვანელო პრინციპებზე) და ამ სახის ზემოქმედება მდინარე ფარავანის ეკოსისტემაზე შეფასებულია, როგორც მინიმალური.

პროექტის განმარტების თანახმად, „მინიმალური სანიტარული ხარჯი გამოხატავს მდინარე ფარავანის საშუალო მრავალწლიური ხარჯის სულ მცირე 10%-ს წყალადების კვეთში (განისაზღვრა, როგორც 16.5 მ³/წმ)... ის უზრუნველყოფს მინიმუმ 1.65 მ³/წმ ხარჯს ნებისმიერ დროს. ... გაზაფხულისა და ზაფხულის ნალექიან თვეებში, ხარჯი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ყოველთვიური ხარჯის მონაცემები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტშია მოცემული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მდინარე ფარავანის დინების თავისებურების გამო, დაგეგმილი გაშვებები ბუნებრივი ხარჯის დაახლოებით 15-25 %-ს შეადგენს, წელიწადის 80% ის განმავლობაში“.

ხაზგასასმელია, რომ 15-25 %-ის გაშვება წარმოადგენს წყლის დონის მასიურ კლებას, მაგრამ აღსანიშნავია ისიც რომ მთელი წლის განმავლობაში ეს 15-25 % -იც არ არის გარანტირებული და დროის გარკვეულ მონაკვეთში მდინარეში წყლის ხარჯის მხოლოდ 10% დარჩება. ეს პროგნოზი კიდევ უფრო შემამშობოთებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოყენებული ჰიდროლოგიური მონაცემები მოძველებულია (1937-1986) და დღევანდელი მდგომარეობით, წყლის რაოდენობა, სავარაუდოდ, კიდევ უფრო ნაკლებია, უკანასკნელ ათწლეულებში მშრალი პერიოდების სიხშირის ზრდის გამო. როგორც ჩანს, ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად წყლის საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა და საკმარისი სანიტარული ხარჯის უზრუნველყოფა ერთმანეთის ალტერნატივებს წარმოადგენს. ხოლო საქართველოს მთავრობას არ ძალუძს ან არ სურს უზრუნველყოს მდინარეში საკმარისი სანიტარული ხარჯი.

ზემოქმედება ფრინველებზე

220-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის ინფრასტრუქტურის მშენებლობა ზემოქმედებას მოახდენს ფრინველებზე, რადგანაც ის უშუალოდ მდებარეობს გადამტრენი ფრინველების აფრიკა-ევრაზიის სამიგრაციო გზაზე (სამიგრაციო დერეფანი), რომლითაც სარგებლობს ფრინველის 255 სახეობა. ისინი გადაკვეთენ საქართველოს ტერიტორიას ზამთრის გასატარებელ ადგილებამდე და შემდეგ უკან ბრუნდებიან. ფრინველები მგრძობიარენი არიან წრფივი წინააღობების მიმართ (მაგ. მავთულები) და არსებობს ანძებთან/მავთულებთან მათი შეჯახების საშიშროება.

ამ სახის ზემოქმედების შესახებ გამოითქვა შეშფოთება პროექტის სპონსორებსა და დამფინანსებლებთან. EBRD-ის მენეჯმენტის პასუხში ნათქვამია, რომ IFC და EBRD მოითხოვენ „ჯორჯია ურბან ენერჯისაგან“

გადამცემი ხაზის დიზაინის ხელახალ შეფასებას, საჰაერო ელსადენების ურთიერთდაშორებას და ისეთი საშუალებების გამოყენებას, რომლებიც შეამცირებს ფრინველების სიკვდილიანობის ხარისხს“.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი ხელახალი შეფასების შედეგები, ხოლო პროექტის სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია. რაც წარმოადგენს EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ამკარა დარღვევას. პოლიტიკის თანახმად, „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შემდეგ, კლიენტი განსაზღვრავს და ახასიათებს ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის სავარაუდო ზემოქმედებას. საკმარისი ძალისხმევით პირობებში შესაძლებელია სრულად აღინეროს არსებული რისკები და ზემოქმედება, განვითარდეს შემარბილებელი ღონისძიებები დაინტერესებული მხარეების შემფოთების გათვალისწინებით“ .

2.2 სოციალური ზემოქმედება

პროექტის ერთ-ერთ უმთავრეს შესაძლო უარყოფით ზემოქმედებას სოფელი ხერთვისის დატბორვის რისკი წარმოადგენს, რომელიც ელექტროსადგურის ქვემოთ მდებარეობს. პროექტის დოკუმენტის თანახმად, მდინარე ფარავნის საშუალო ხარჯის 90% იქნება გადასროლილი მდინარე მტკვარში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის წყლის მოცულობას მდ. მტკვარში (ხარჯი საშუალოდ გაიზრდება 17 მ³/წამში, ხოლო გაზაფხულზე 35 მ³/წამში).

პროექტის განმახორციელებლის თანახმად, „წყლის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც მდინარე ფარავნიდან მდინარე მტკვარში იქნება გადასროლილი ანვეს წყლის დონეს დაახლოებით 10 სმ-ით საშუალოდ წელიწადში, რამაც არ უნდა გამოიწვიოს დატბორვა“. თუმცა, ეს ვერ ჩაითვლება დამარწმუნებელ არგუმენტად. წელიწადში, საშუალოდ 10 სანტიმეტრით მდინარის დონის აწევა, არ გამოირიცხავს სოფლის დატბორვის შესაძლებლობას გაზაფხულის თვეებში, როდესაც მდინარის დინება მაქსიმალურ დონეს აღწევს.

ადგილობრივი მოსახლეობის თანახმად, მდინარე მტკვარი თითქმის ყოველ გაზაფხულზე ტბორავს სოფელს, განსაკუთრებით მდინარის გაყოფებაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა და სახლებს, რადგანაც მდინარის ნაპირი არ არის დაცული. მოსახლეობა შიშობს, რომ თუ მდინარის ნაპირის დაცვის ღონისძიებები არ განხორციელდა, პროექტის დასრულების შემდეგ შეუძლებელი გახდება სოფელში ცხოვრება.

EBRD-ის თანახმად, „ადგილობრივი მოსახლეობის შემფოთების ხარისხის გათვალისწინებით, „ჯორჯია ურბან ენერჯიმ“ განაცხადა თანხმობა, ჩაატაროს დატბორვის რისკების დამატებითი შეფასება და ამჟამად ეს პროცესი მიმდინარეობს. კვლევის შედეგები, ისევე როგორც ნებისმიერი შემარბილებელი მოთხოვნის ტექნიკური დეტალები, განიხილება პოტენციური რისკის ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან, როგორც კი ეს შედეგები იქნება ხელმისაწვდომი“ .

მშენებლობის დაწყებამდე და არც შემდეგ, დატბორვის რისკის შესახებ დამატებითი კვლევის მონაცემების განხილვა არ მომხდარა არც ადგილობრივი მოსახლეობასთან, და არც სამოქალაქო საზოგადოებისათან ერთად, რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება EBRD-ის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას.

დატბორვის გარდა, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის აღწერილი ის პრობლემები, რომლებიც ეხება საძოვრების ხელმისაწვდომობას და შემდგომ შემარბილებელ ზომებს. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, მას შემდეგ რაც დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, მათ უკრძალავენ გაიყვანონ პირუტყვი თავიანთ საძოვრებზე („ქვარსა“), რადგან გზა საძოვრებისაკენ გადაკეტილია პროექტის სპონსორის მიერ.

პროექტის განმახორციელებელმა ახალი პრობლემები შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას. მათ შორის დატბორილი და განადგურებული ბაღების სახით. სოფელ ჩუნიხელში, გვირაბის სიახლოვეს დაახლოებით 18 ჰა. ხეხილის ბაღები განადგურდა ვინაიდან პერიოდულად ეს ბაღები იტბორებოდა იმ წყლით რომელიც გვირაბში გროვდება, რომელიც ამავდროულად დაბინძურებული იყო სამშენებლო მასალებითა და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებით.

კერძო საკუთრების დაცვის პრობლემები

მიწების რეგისტრაცია პრობლემატური საკითხია საქართველოში⁷. ინფრაქსტრუქტურული და განვითარების პროექტების განხორციელებისას, ადგილობრივი მოსახლეობა, მიწების არასრულყოფილი რეგისტრაციის

⁷ http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Stripped_Property_Rights_April2012_Eng.pdf

გამო, ხშირად რჩება საკუთრების გარეშე, იმ შემთხვევებშიც კი თუ მიწა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია. ხშირად, ეკონომიკის სამინისტრო ყიდის ან აჩუქებს ინვესტორზე საჯარო მიწებს, ყოველგვარი წინასწარი გამოძიების გარეშე.

მაგალითად, სოფლის მცხოვრები ალექო ციხელაშვილი 2009 წლიდან ცდილობს დაიბრუნოს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ ჯერ კიდევ 2007 წელს დაურეგისტრირა კომპანია `ურბან ენერჯის. ამისთვის, მან გამოიყენა სხვადასხვა საჩივრის მექანიზმი, მათ შორის მიმართა სასამართლოს კომპენსაციის ან მიწის დაბრუნების მოთხოვნით.

კომპანიის მფლობელობაში მოექცა, 18 ოჯახის სამოსახლო მიწები სოფელ ძველში, თუმცა კომპანიას დღესვე არ გადაუხდია მათთვის სრული კომპენსაცია. დამატებით, სოფელ ძველის მაცხოვრებლები ასევე სასამართლოში უჩივიან კომპანიას, განადგურებული ხეხილის ბაღებისთვის მდ. მტკვრის ნაპირზე.

დასაქმება

ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების არ ქონა, ერთ ერთი მთავარი საკითხია მათთვის. გზ-ს თანახმად, მშენებლობის პერიოდში, პროექტს უნდა დაესაქმებინა დაახლოებით 200 კაცი, აქედან ნახევარი მაინც ადგილობრივი მოსახლე. თუმცა ჰესის მშენებლობისას სულ 40 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდა.

ამავდროულად, ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, ფარავანჰესის მშენებლობაზე დასაქმება მხოლოდ ნეოტიზმით შეიძლება. მას შემდეგ, რაც ქვეკონტრაქტორმა ILGI -მ დატოვა მშენებლობა, მშრომელებმა და ადგილობრივმა გლეხებმა რამდენიმე საპორტესტო გაფიცვა მოაწყვეს. დასაქმებულები თავიანთი ოთხი თვის ხელფასის გადახდას, ხოლო ადგილობრივი გლეხები ჩაბარებული საკვები პროდუქტების საფასურის გადახდას ითხოვდნენ.

2.3 პროექტის იურიდიული ასპექტები

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობასა და ინვესტორს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის (29.05.2007) ანალიზი წარმოშობს კითხვებს იმის თაობაზე, თუ რა რეალურ სარგებელს ნახავს ქართული სახელმწიფო ფარავანჰესის პროექტის განხორციელების შედეგად. ერთ-ერთი სარგებელი, საქართველოს მთავრობის ლოგიკის თანახმად, ინვესტორის მიერ აღებული ვალდებულებაა, რომლის თანახმადაც მათ ზამთრის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიჰყიდონ ელექტროენერგია საქართველოს ენერგოსისტემას.

მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, კერძო ინვესტორების წვლილი სახელმწიფო ბიუჯეტში, ხორციელდება ან ე.წ. ბონუსების და დამატებითი გადასახადების, ან უფასო გამომუშავებული ელექტროენერგიის სახით, რასაც ქართულ სინამდვილეში ადგილი არ აქვს.

გზ-ს თანახმად, პროექტი გამოიმუშავებს 36.6 მლნ აშშ დოლარს წლიურად საქართველოსთვის⁸ და გააუმჯობესებს საქართველოს საგადასახადო ბალანსს. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პროექტი ხორციელდება ე.წ. მშენებლობა, ფლობა, ოპერირება⁹ სქემით, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის შემოსავლები საკმაოდ მწირია. ფარავანი ჰესის მიზანია ელექტროენერგიის ტრანსპორტირება თურქეთში. საქართველოში ექსპორტი გადასახდებისგან გათავისუფლებულია. ინვესტორები ასევე არ იხდიან წყლის რესურსებით სარგებლობის საფასურს. ამ პირობებში, სახელმწიფოს შემოსავალი მოიცავს მხოლოდ დასაქმებულთა მიერ გადახდილ 20%-იან საშემოსავლო გადასახადს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის 0.1%-იან ქონების გადასახადს. მწვანე ალტერნატივის გათვლებით, ჰესიდან მიღებული შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში 2.5 მლნ აშშ დოლარს, წლიურად, არ აღემატება.

საინტერესოა ისიც, რომ ფარავანი ჰესის შემთხვევაში, ზამთარში საქართველოს ენერგოსისტემისათვის ელექტროენერგიის მიყიდვის შესაძლებლობა საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურება, რადგან მდინარე ფარავანი ზამთრის თვეებში ჩვეულებრივ იყინება¹⁰.

⁸ ბსგმ დოკუმენტის მეთერთმეტე თავი;

⁹ BOO (Build - Operate - Own) პრინციპი

¹⁰ საქართველოს ენერგო სისტემის დეფიციტი დაახლოებით 5 % ზამთრის თვეებში და დეფიცი იმპორტით ივსება.

ამავროულად, პროექტის მემორანდუმი მოიცავს, პროექტის განმახორციელებლების დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებებს სახელმწიფოს მხრიდან. ურთიერთგაგების მემორანდუმის თანხმად, „მთავრობა აცხადებს რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი გადაცემულია კომპანიის საკუთრებაში და კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემთხვევაში უვადოდ დარჩება კომპანიის საკუთრებაში“ მიუხედავად მემორანდუმის მოქმედების ვადის [15 წელი].¹¹ გარდა ამისა, მემორანდუმი ანიჭებს კომპანიას უფლებას „კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად განუსაზღვრელი პერიოდით გამოიყენოს მდიანრე ფარავნისა და ფარავნის ტბის წყლის რესურსი. მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მხარს დაუჭერს კომპანიას (1) გზების მშენებლობაში, (2) საკომუნიკაციო ხაზების მშენებლობაში, (3) წყლის სატუმბო მოწყობილობების დამონტაჟებაში (4) ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების გამართვაში, რაც საჭიროა ობიექტის მშენებლობისა და მართვისათვის.“¹²

დამატებით, „თავისი კომპეტენციის ფარგლებში მთავრობა უზრუნველყოფს კომპანიას შემდეგით: 1) გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე კომპლექსის მშენებლობის, ფლობის, მართვის, ელექტროენერჯის წარმოება და რეალიზაციის ექსპლუატირი უფლებამოსილება, ამ მემორანდუმით კომპანიის მიერ ნაკისრი 2011 წლის სექტემბერში ჯორჯიან ურბან ენერჯიმ მოახსენა საქართველოს მთავრობას ურთიერთგაგების მემორანდუმის შესრულებისთვის გადადგმული ნაბიჯები, რაც მოიცავს: 1) „ძირითადი პირობების შესახებ შეთანხმება“ კომპანიას, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას შორის; 2) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხის ხელშეკრულება“ კომპანიას და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შორის 3) სსკს სესხის ხელშეკრულება“ კომპანიასა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას შორის.

კომპანიამ მოითხოვა და მიიღო მთავრობისგან უფლება რათა იპოთეკით დაეტვირთა მიწა. ფინანსური ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანიამ აიღო ვალდებულება კრედიტორების მიერ ზემოთაღნიშნული სესხების გაცემის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დატვირთოს უძრავი ქონება - ჰესის მშენებლობისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთები, საერთო ფართობით 60317 კვ.მ, რომელიც კომპანიამ პირობადადებული უფლებით შეიძინა 2007 წელს ეკონომიკის სამინისტროსგან.

აღსანიშნავია, რომ ურთიერთგაგების მემორანდუმი არ მოიცავს მიწის დაბრუნების პირობას და მის აღდგენას საწყის მდგომარეობამდე, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხლი 5; მემორანდუმი ასევე არ მოიცავს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა მიმართოს კომპანიამ თუ ის ვერ ახერხებს მიწის რესტიტუციას.

2.4 ფინანსური ინსტიტუტების როლი პრობლემატური საკითხების გადაწყვეტისას

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოში განეული ქმედებები და ჩადებული მილიონობით აშშ დოლარი, ძირითადად მიმართულია ენერჯო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მათ შორის შავი ზღვის გადამცემი ხაზი, ჰიდროელექტროსადგურების წინასწარი კვლევები და სხვ. თუმცა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები სამუხაროდ არ აფინანსებენ ფართო მასშტაბის ენერჯოეფექტურობის პროექტებს (საკანონმდებლო ინიციატივებს თუ პრაქტიკულ აქტივობებს), რომელთა განხორციელებისა და უკუგების ეფექტი მოითხოვს შედარებით უფრო ნაკლებ დროს და ეკონომიკურად ეფექტურია, რადგან რესურსების დაზოგვაზეა მიმართული.

აღსანიშნავია ისიც რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა საქართველოში არაეფექტურია, ის არ შეესაბამება ევროკავშირის გზმ დირექტივისა¹³ და ორჰუსის კონვენციის¹⁴ მოთხოვნებს. ეს ნაკლოვანი სისტემა ვერ უწევს ღირებულ დახმარებას გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება იმ საქმიანობებზე, რომელთაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინონ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვას.

¹¹ მუხლი 10, სახელმწიფოს კუთვნილი მიწა და წყლის რესურსები, ხელშეკრულება, 2009 წლის ცვლილებები

¹² იგივე

¹³ ????

¹⁴ http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Stripped_Property_Rights_April2012_Eng.pdf

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ერგბ-სა და სსკ-ს მიერ ორგანიზებული გარემოზე ზემოქმედების შესწავლის და საზოგადოებრივი განხილვის პროცესი ასევე გამოირჩეოდა ნაკლოვანებებით და და ერთის მხრივ, არ შეესაბამებოდა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, ხოლო მეორეს მხრივ საკუთრივ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკის დარღვევას წარმოადგენდა.

ფარავანის გზმ-ს აქვს მრავალი ნაკლი, რასაც ხაზი გაესვა საზოგადოების მონაწილეობის პროცესში, თუმცა ეს ნაკლოვანებები არ იქნა შესაბამისად განხილული და აღმოფხვრილი ერგბსა და სსკ-ს მიერ.

აღსანიშნავია რომ პროექტის გზმ დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ქართულად. ეს საკმაოდ შემამოფთოებელი სიგნალია, ვინაიდან სრულად გაურკვეველია თუ როგორ მოხდა ერგბ-სა და სსკ-ს მხრიდან ამ დოკუმენტების ხარისხობრივი შეფასება.

ამასთან, ერგბ-ს ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკის საბაზისო პრინციპის თანახმად, ერგბ ვალდებულია მოუსმინოს მესამე მხარეს (მათ შორის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს) და გაითვალისწინოს საზოგადოების შენიშვნები. ერგბ-ს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის განხორციელების სტანდარტი 10 პირდაპირ მოითხოვს რომ „იყვნენ იდენტიფიცირებული ადამიანები ან თემები რომლებიც განიცდიან ან შესაძლოა განიცადონ ზეგავლენა პროექტის მიერ, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები“. საინტერესოა, როგორ შეძლებდნენ საერთაშორისო ექსპერტები გამოეთქვათ თავის აზრი პროექტთან მიმართებაში, როდესაც არაერთი მოთხოვნის მიუხედავად გზმ დოკუმენტი მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი.

გამომდინარე ამ სიტუაციიდან, ერგბ და სსკ იძულებული იყვნენ სრულად დაყრდნობოდნენ საკონსულტაციო კომპანიას, რომელიც დაქირავებული იყო პროექტის სპონსორის მიერ, და დაედასტურებინათ დოკუმენტაციის შესაბამისობა საკუთარ სტანდარტებთან დამოუკიდებელი განხილვის გარეშე.

ამასთანავე, პროექტის გზმ-ს ალტერნატივების ანალიზი არ იყო საერთოდ განხილული. გზმ იძლევა ფონურ ინფორმაციას მზის, ქარის, გეოთერმულ და ბიოენერგეტიკულ ალტერნატივებზე, მაგრამ არ არსებობს დეტალური შედარებითი ანალიზი ამ ალტერნატივებისა ჰიდროენერჯიასთან. ასევე დოკუმენტი არ მოიცავდა ალტერნატივებთან მიმართებაში ფინანსურ გაანგარიშებებს.

ერგბ-ს წერილში ვკითხულობთ რომ „კონკრეტული პროექტის გზმ დოკუმენტი არ წარმოადგენს შესაბამის ადგილს სადაც განხილული უნდა იყოს საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დონის საკითხი, უნდა განავითაროს თუ არა საქართველომ საშუალო ზომის ჰიდროენერგეტიკული ობიექტები თუ სხვა განახლებადი ენერჯიები (მინი-ჰიდრო, ქარი, ბიომასა)“. გარკვეულწილად, შეიძლება ვივარაუდოთ რომ ერგბ მართალია, ვინაიდან მსგავსი საკითხი უნდა გადაწყვეტილი იყოს საქართველოს ენერგეტიკის სექტორის სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას რომ თვითონ გზმ-ს დოკუმენტში ალტერნატივების ანალიზი ფორმალურად უნდა იყოს წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რომ ევროკავშირის პარლამენტის მკაცრი კრიტიკა მსოფლიო ბანკთან მიმართებაში: „[პარლამენტი] ნაწილობრივ, რომ მსოფლიო ბანკის პროპაგანდირებას უწევს ფართო მასშტაბიან და ექსპორტზე ორიენტირებულ ენერგეტიკის განვითარების მოდელს, და ხელს არ უწყობს მცირე მასშტაბის დეცენტრალიზებულ ენერგოპროექტებს, რომლებიც უფრო მისაღები და ეფექტურია მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სოფლად; [პარლამენტი] მოუწოდებს მსოფლიო ბანკს მხარი დაუჭიროს ალტერნატიული, მცირე მასშტაბის დეცენტრალიზებული ენერგოპროექტების განვითარებას, რომლებიც ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებს და სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ პრობლემებს, ადგენს სპეციფიკურ მიზნებსა და მონიტორინგის წესებს რათა ენერგეტიკაში ჩადებულმა თანხებმა უპასუხოს ღარიბების მოთხოვნილებებს“¹⁵. შესაბამისად, ძალიან საინტერესოა, როდესაც ევროკავშირის დახმარების ნაწილი ერგბ-სა და სსკ-ს გავლით მიემართება სწორედ ფარავანის ჰესის დაფინანსებაზე, რომელიც წარმოადგენს ექსპორტზე ორიენტირებულ პროექტს, და მას არ გააჩნია მნიშვნელოვანი დამატებითი ღირებულება ქვეყნის ენერგეტიკული სისტემისათვის, აგრეთვე არ მოაქვს მდგარდი ფინანსური და ეკონომიკური სარგებელი ქვეყნისთვის, ანუ წარმოადგენს სწორედ იმ პროექტის ტიპს, რასაც ასე მკაცრად აკრიტიკებს ევროკავშირის პარლამენტი.

¹⁵ <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&reference=P7-TA-2011-0067&language=EN&ring=B7-2011-0128>

სარჩელი ერგბ-ს პროექტის შესაბამისობის მექანიზმში

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ სარჩელი შეიტანა ერგბ-ს შესაბამისობის განხილვის მექანიზმში, ჯერ კიდევ 2011 წლის ნოემბერში¹⁶. სარჩელი მოითხოვდა პროექტის შესაბამისობის შესწავლას ერგბ-ს გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან.

სამწუხაროდ, საბოლოო პასუხი ერგბ-დან მხოლოდ 2013 წლის ბოლოს იყო მიღებული. (იხილეთ დანართი1)

2.5 წინააღმდეგობა ევროკავშირის დირექტივებთან და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებთან.

მოცემული პროექტის გზმ დოკუმენტი და დიზაინი ეწინააღმდეგება არა მხოლოდ EBRD-ის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას, არამედ ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივას¹⁷ და კონვენციას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ.

2015 წლისათვის, ევროკავშირი მოითხოვს წვერი სახელმწიფოებისაგან, სულ მცირე, კარგი ეკოლოგიური სტატუსის (GES) მიღწევას ყველა წყლის ობიექტთან მიმართებაში და ამავდროულად, მაღალი ეკოლოგიური სტატუსის (HES) მქონე ნებისმიერი წყლის ობიექტის სტატუსის გაუარესების პრევენციას. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ისეთი წყლის ობიექტებისათვის, რომლებიც ძლიერ მოდიფიცირებულად ითვლება (HMWB) და ამ შემთხვევაში მისაღწევი სტანდარტია – კარგი ეკოლოგიური პოტენციალი (GEP).

წყლის ჩარჩო დირექტივის განსახორციელებლად შემუშავებული სახელმძღვანელოს „წყალსაცავებიდან ეკოლოგიური ხარჯის გაშვებაზე“, თანახმად, „ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა და გაშვება წყალსაცავებიდან მოიცავს მართვის მრავალ სხვადასხვა ასპექტს. მათ შორის, ამოცანების განსაზღვრას პოლიტიკის დონეზე, ეკოსისტემისათვის საჭირო წყლის ოდენობის ტექნიკურ განსაზღვრას და შემარბილებელი ღონისძიებებისთვის ფინანსური ხარჯების გათვალისწინებას¹⁸“ .

2001 წელს, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის, მეცნიერული, ტექნიკური და ტექნოლოგიური რჩევების სუბსიდიარულმა ორგანომ, გამოსცა რეკომენდაცია, რომლის თანახმად, ეკოლოგიური ხარჯის შეფასებები უნდა ჩატარდეს კაშხლების შემთხვევაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მდინარის ქვედა დინებაში ეკოსისტემების მთლიანობისა და მოსახლეობის საარსებო გარემოს შენარჩუნება¹⁹.

¹⁶ http://www.ebrd.com/downloads/integrity/paravani_complaint_22.12.2011.pdf

¹⁷ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2000:327:0001:0072:EN:PDF>

¹⁸ სახელმძღვანელო ეკოლოგიური ხარჯის გაშვებაზე წყალსაცავებიდან, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის შესასრულებლად, საბოლოო ანგარიში, მაისი 2007 Sniffer (Scotland and Northern Ireland Forum For Environmental Research).

¹⁹ საერთაშორისო მდინარეები, „დავიცვათ მდინარეები და უფლებები“, მსოფლიო კაშხლების კომისიის რეკომენდაციები, გვერდი 15, 2010 წელი.

3. დასკვნა

საქართველოში დაგეგმილი ჰესების პროექტების უდიდესი ნაწილი დერივაციული ტიპისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პროექტებში წყლის ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა მდინარეთა ქვედა დინების ეკოსისტემებისათვის არსებით საკითხს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც EBRD-ის მიერ დაფინანსებული ფარავნის პროექტის ESIA-ში (ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება) ხაზი გაესვა, რომ 10% სანიტარული ხარჯის დატოვება მდინარეში საერთაშორისო სტანდარტია, ეს ჩაითვა საუკეთესო პრაქტიკად საქართველოში ყველა სახის დერივაციული პროექტისათვის (ყველა სახის ჰესებისათვის მცირე ჰესების ჩათვლით), მათ შორის – დარიალი, ნენსკრა, ბახვი და სხვა. მდინარე დარიალისა და ნენსკრასათვის მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მომზადებული ანგარიშები სრულ შესაბამისობაშია EBRD-ის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან.

ამ პროექტების ამგვარი განვითარება დიდ ზიანს მიაყენებს საქართველოს მდინარეების ეკოსისტემას და შეუქმნის პრობლემას ქვედა დინების მოსახლეობას წყლის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

ერგბ-ს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის თანახმად, „ზემოქმედების შეფასების დაგეგმვისას და განხორციელებისას, სადაც ბიომრავალფეროვნება ძირითად ფოკუსს წარმოადგენს, კლიენტი უნდა იყენებდეს საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს რათა უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების რისკების სრული შეფასება“.

ფარავნის პროექტის დამტკიცებამ და დაფინანსებამ ერგბს მიერ შექმნა პრეცედენტი სხვა პროექტების განმახორციელებლებისთვის, რათა მათ გამოეყენებინათ ის სტანდარტები და მეთოდები, რასაც იყენებს ერგბ EBRD და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რაც თავისთავად უნდა გულისხმობდეს საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტების გამოყენებას.

უნდა აღინიშნოს, რომ დარიალის, ნენსკრას, ბახვის, ლუხუნის და სხვა პროექტების განმახორციელებლები ამტკიცებენ, რომ ეს პროექტები მომზადდა ერგბ-ს მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტად კი მიუთითებენ წყლის ნარჩენი ხარჯის 10%-ის დატოვებას მდინარის კალაპოტში. შესაბამისად, ერგბ -მ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ე.წ. ერგბ-ს სტანდარტის გავრცელებაზე საქართველოს ყველა დანარჩენი დერივაციული ჰესის პროექტში.

ლისაბონის ხელშეკრულება²⁰, რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა მიღწევაში ევროკავშირმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს მსოფლიოში, ხაზგასმულია რომ ევროკავშირმა თავისი საგარეო პოლიტიკითა და ქმედებებით ხელი უნდა შეუწყოს: „...დედამიწაზე მდგრად განვითარებას, ადამიანების სოლიდარობასა და ურთიერთპატივისცემას, თავისუფალ და სამართლიან ვაჭრობას, სიღარიბის აღმოფხვრასა და ადამიანის უფლებების დაცვას“.

შესაბამისად, ევროკავშირის საგარეო ქმედებები, ...ხელს უნდა უწყობდეს მდგრად სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით განვითარებას განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის აღმოფხვრის მიზნით“.

თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები ევროკავშირის დეკლარირებულ პოლიტიკასა და მის მიერ მხარდაჭერილ ინვესტიციებს შორის.

ევროკავშირი მხარს უჭერს ადამიანის უფლებებს, მდგრად განვითარებას და გარემოს დაცვას. ამავდროულად, ევროკავშირი ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკა მხარს უჭერს ხელმისაწვდომობას შეუზღუდავ ენერჯიაზე, მიუხედავად მათი განხორციელების შედეგად წარმოშობილი გარემოსდაცვითი თუ სოციალური პრობლემებისა.

სამწუხაროდ, იგივე შეიძლება ითქვას ევროკავშირიდან წამოსულ ინვესტიციებსა და/ან ფინანსურ ინსტრუმენტებზე. ერთის მხრივ, ევროკავშირის ფინანსური ინსტრუმენტების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს მცირე მასშტაბიანი მდგრადი განახლებადი ენერჯიის მხარდაჭერა, თუმცა, ამავდროულად, ევროკავშირი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გავლით ასობით მილიონს აბანდებს არამდგრად ფართო მასშტაბიან ენერგეტიკულ პროექტებში, შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე.

²⁰ ლისაბონის ხელშეკრულება , TEU, მუხლი 3.

4. რეკომენდაციები ევროკავშირისთვის

1. გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება უნდა გამოიყენებოდეს ევროკავშირის ნებისმიერი ინვესტიციის მიმართ, რომელსაც შეუძლია კატალიზატორის როლის შესრულება სექტორის განვითარებაში (როგორც ეს მოხდა შავი ზღვის გადამცემი ხაზის შემთხვევაში).
2. ევროკავშირმა მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელო პრინციპად უნდა აღიაროს კაშხლების მსოფლიო კომისიის რეკომენდაციები ენერჯეტიკის სექტორში სტრატეგიული შეფასების ჩატარების შესახებ ჰიდროენერჯეტიკაში მსხვილი ინვესტიციის განხორციელებამდე. იგივე კრიტერიუმი უნდა მიესადაგოს პარტნიორი ქვეყნის მიერ ჰიდროენერჯეტიკის სექტორში დაწყებულ ნებისმიერ ფართომასშტაბიან პროექტს.
3. ევროკავშირმა უნდა მოსთხოვოს ევროპულ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, პროექტების განხორციელების შესაბამისობა ევროკავშირის დირექტივებთან და განვითარების კონსენსუსის დოკუმენტთან²¹
4. ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს, რომ განახლებადი ენერჯის მიზნის მიღწევამ გ – მეზობელ ქვეყნებში არ გამოიწვევიოს არასასურველ შედეგები, მაგ. ბიომრავალფეროვნების განადგურება და არ შეუშალოს ხელი განახლებადი ენერჯის განვითარებას მომავალში.

ამასთან, მიდგომა უნდა იყოს უფრო ფართო ვიდრე უბრალოდ სტანდარტების დაცვა, ვინაიდან საქართველოს, აღმოსავლეთ პარტნიორობის რამდენიმე სხვა ქვეყნის მსგავსად აქვს მისწრაფება, რომ ევროკავშირის წევრი გახდეს და შესაბამისად, ქვეყანამ უნდა გაიზიაროს ევროკავშირის დღის წესრიგი, რომელიც ითვალისწინებს 2050 წლისთვის ეკონომიკის დეკარბონიზაციას.

²¹ THE EUROPEAN CONSENSUS ON DEVELOPMENT, <http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2006:046:0001:0019:EN:PDF>

პროექტის შესაბამისობის მექანიზმის საბოლოო ანგარიში

ფარავანჭვის პროექტის შესახებ

ფონური მდგომარეობა

2011 წლის 14 ივნისს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა (EBRD) ფარავანის ჰიდროელექტროსადგურის პროექტისთვის 44 მილიონ აშშ დოლარის სესხი დაამტკიცა. ამასთან EBRD ფლობს 5 მილიონი აშშ დოლარის წილს პროექტის განმახორციელებელ კომპანიაში, პროექტის მთლიანი ღირებულება კი შეადგენს 156.5 მილიონ აშშ დოლარს.

ფარავანის ჰესის პროექტი ითვალისწინებს მდინარე ფარავანზე (ახალქალაქის სიახლოვეს, თურქეთის საზღვრის მახლობლად) 87 მვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობას, ექსპლუატაციასა და მოვლაპატრონობას. პროექტი ასევე მოიცავს 35 კმ სიგრძის გადამცემ ხაზს. ეს გადამცემი ხაზი უკავშირდება ახალქალაქის ქვესადგურს, რომელიც წარმოადგენს შავი ზღვის 500 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის ნაწილს. ეს ხაზი საქართველოს თურქეთთან აკავშირებს. მდინარე ფარავანი ფარავანის ტბიდან იწყება (2080 მეტრი ზღვის დონიდან) და მისი სიგრძე 74 კილომეტრს შეადგენს.

საღამოს ტბის შემდეგ მდინარე ჩაედინება ხეობაში, რომელიც დასავლეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით უხვევს, სანამ მდინარე მტკვარს შეუერთდება აღმოსავლეთიდან. საერთო ვარდნა 960 მეტრია, საშუალოდ 13 მეტრი კილომეტრზე მთელ სიგრძეზე. განძასა და ახალქალაქში მდინარის ქვედა ბიეფში სხვა ჰიდროელექტროსადგურებიც მდებარეობს. პროექტს ახორციელებს კომპანია „ჯორჯია ურბან ენერჯი“. დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის²² პროექტი ითვალისწინებს 14.2 კმ სიგრძის დერივაციული გვირაბის აშენებას, რათა მდინარე ფარავანის წყალი გადასროლილ იქნას მდინარე მტკვრის კალაპოტში, სოფელ ხერთვისის კვეთში.

2011 წლის 22 დეკემბერს მწვანე ალტერნატივამ EBRD-ის პროექტებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის ორგანოში (PCM) საჩივარი შეიტანა. EBRD-იმ ოფიციალურად ამ საჩივარს 2012 წლის 17 იანვარს უპასუხა. PCM-მ სარჩელი შეისწავლა მის დასაშვებობაზე და დასაშვებობის კრიტერიუმების საფუძველზე განაცხადა, რომ მოხდებოდა პროექტის შესაბამისობის შესწავლა. 2012 წლის ოქტომბერში გლენ არმსტრონგი დაინიშნა PCM-ს ექსპერტად შესაბამისობის საკითხებში. PCM-ის მიმოხილვა შეიცავდა საჯარო ინფორმაციას პროექტის შესახებ და ასევე EBRD-ის საკუთარ დოკუმენტებს. ასევე განხორციელდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგმ) დოკუმენტის ნაწილობრივი თარგმანი ქართულიდან ინგლისურზე. გაიმართა შეხვედრები EBRD-ის წარმომადგენლებთან, რომლებიც გარემოსდაცვით, სოციალურ და საინვესტიციო საკითხებზე მუშაობენ. ასევე გაიმართა შეხვედრები მოსარჩელესთან, პროექტის სპონსორთან და მათ კონსულტანტებთან თბილისში. განხორციელდა ყოვლისმომცველი ვიზიტი საპროექტო ტერიტორიაზე.

დასკვნები შესაბამისობასთან დაკავშირებით

გემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე

საჩივრის თანახმად, პროექტი არ შეესაბამება EBRD-ის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას ვინაიდან ბიომრავალფეროვნებაზე გემოქმედება არ არის ადეკვატურად ასახული პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში (ESIA). პირველ რიგში ეს ეხებოდა საფუძვლიანი საბაზისო მონაცემების არარსებობის პირობებში პოტენციურ ზემოქმედებას მდინარე ფარავანის ეკოსისტემაზე მდინარის არასწორი რეჟიმის შერჩევის გამო. მეორე რიგში, საჩივრის თანახმად, არაადეკვატურად იქნა შესწავლილი და განხილული გადამცემი ხაზის პოტენციური ზემოქმედება კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე გადამფრენ ფრინველებზე.

ორივე შემთხვევასთან მიმართებაში PCM-ს ექსპერტიდ დასკვნით, ეს საკითხები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში უნდა განხილულიყო, ხოლო EBRD-ს უნდა უზრუნველყო, შესაბამისი კვლევებისა და ანალიზის ჩატარება ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე; თუმცა EBRD-მ არ შეასრულა გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნები და მოვიდა შესაბამისობაში საკუთარ სოციალურ და გარემოსდაცვით პოლიტიკასთან; კერძოდ, PCM ასკვნის, რომ:

²² დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროენერჯია არის ჰიდროელექტროგენერაცია, რომელიც გულისხმობს ცოტა რაოდენობით ან არანაირ წყლის აკუმულირებას. აკუმულირების მოთხოვნა დამოკიდებული იქნება იმაზე, პიკური მოთხოვნა იქნება ჰიდროელექტროენერჯიაზე, თუ მინიმალური. იმ შემთხვევაში, თუ მინიმალური მოთხოვნა იქნება დასაკმაყოფილებელი, საჭირო გახდება წყლის ნაკადის დარეგულირება.

1. მდინარე ფარავნის შემთხვევაში, მდინარის რეჟიმის ისეთი მოდელის შერჩევა, როგორც ე.წ. „ტენანტის მეთოდი“ თავისთავად არ იყო შეცდომა, მაგრამ დასატოვებელი წყლის მოცულობის პროცენტულობის დამტკიცება უნდა მომხდარიყო ადგილობრივ პირობებთან შესაბამისობაში, რაც დაეფუძნებოდა მდინარის ეკოლოგიის, მორფოლოგიის და ხარჯის საფუძვლიან საბაზისო შესწავლებას, სულ ცოტა იმ დონეზე მაინც, რომ EBRD-ი დარწმუნებული ყოფილიყო იმაში, რომ ჰიდროელექტროსადგური იმუშავებდა იმ სანიტარული ხარჯის დონეზე, რომელიც გარდაუვარ ზიანს არ მიაყენებდა მდინარის ეკოსისტემას.
2. პროექტის განხორციელებას შესაძლოა ჰქონდეს ზემოქმედება რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობის გადამფრენ ფრინველებზე. ამ თვალსაზრისით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში და არატექნიკურ რეზიუმეში უფრო მკაფიო უნდა ყოფილიყო და უზრუნველყო პოტენციური ზეგავლენის უფრო ღრმა ანალიზი. საერთაშორისო რეკომენდაციები სადენებს შორის დაშორებასთან, ფრინველების დაფრთხობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით უფრო მკაფიოდ უნდა ყოფილიყო ასახული და გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში. EBRD-ის ადრეულ ეტაპზე უნდა ეღიარებინა, რომ ეს საკითხი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში არ იყო დეტალურად შესწავლილი საჭირო დონემდე და რომ მას ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, რათა განესაზღვრა მოახდენდა, თუ არა პროექტი უარყოფით ზემოქმედებას დაცულ სახეობებზე ან ტერიტორიებზე.
3. EBRD-ის მიერ მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში, პროექტის დამტკიცებამდე - ადრეულ ეტაპზე იყო შესაძლებლობა, რომ საბაზისო სავლე შეფასებების განხორციელებულიყო ადექვატურად.
4. ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი სამუშაოების შეფასება, ინვესტირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ არ არის მისაღები. მართალია, დაფინანსების გამოყოფის ერთ-ერთი წინაპირობას წარმოადგენდა ამ ინფორმაციის წარმოდგენა - ადგილი ჰქონდა საინვესტიციო გადაწყვეტილებიდან ბიომრავალფეროვნების საკითხის ამოღებას, ასევე ამ ინფორმაციის ამოღებას ინფორმაციის გავრცელებისა და კონსულტაციების გამართვის მოთხოვნილებებიდან, რამაც უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების სისწორე.
5. მნიშვნელოვანია ეს ინფორმაცია გამოყენებული ყოფილიყო პროექტის პარამეტრების დაგეგმვისას. პროექტის დაგეგმარება და (ადრეული) მშენებლობა EBRD-ის ჩართვამდე დაიწყო. თუმცა, EBRD-ს შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის პარამეტრებზე და მიმდინარე მონიტორინგზე. ამას გარდა, საინვესტიციო წინადადების შეფასების პროცესი არ შეიცავდა საბაზისო გარემოსდაცვითი მონაცემების და პოტენციური ზემოქმედების ზუსტ აღწერას შესაბამის დონეზე იმ დროს, როდესაც EBRD-მ ინვესტირების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.
6. მიუხედავად, არსებული დარღვევებისა, მდინარის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემსუბუქება შესაძლებელია, თუმცა EBRD-მ არ იცოდა ამის შესახებ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე არ მომხდარა ამ დარღვევების ეფექტური განხილვა საჯარო დისკუსიის დროს, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას უსწრებდა წინ. ფაქტობრივად, EBRD-მ იცოდა, რომ საქართველოში გამოქვეყნებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგმ) ანგარიში არ იყო სრული და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პროფესიონალური შეხედულების საფუძველზე, რომელიც არ ეფუძნებოდა შესაფერის საბაზისო ინფორმაციას.
7. შედეგად, მიღებული მიდგომა არ წარმოადგენს „გამაფრთხილებელ მიდგომას ბიომრავალფეროვნების ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის მიმართ“. ხოლო რისკებზე და ზეგავლენებზე პასუხი, არ შეესაბამება პრევენციულ მიდგომას, ვინაიდან მოხდა ამ საკითხების შესწავლის გადადება ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ეს შეხედულება მიღწეულ იქნა გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკაში ასახული მოთხოვნების და ზემოხსენებულ 4.2 პუნქტში მოცემული შეხედულების საფუძველზე.
8. მართალია PCM-ს არ მიაჩნია, რომ სწორი იქნებოდა ჰაბიტატების შესახებ დირექტივის მე-6 მუხლის მოთხოვნების წამოყენება ამ შემთხვევაში, მაგრამ დაასკვნა, რომ EBRD-სთან მიმართებაში წევრ სახელმწიფოებში ბიომრავალფეროვნების შესახებ არსებული ევროკავშირის მოთხოვნების გამოყენების თაობაზე არსებული ბუნდოვანება ვერ დაეხმარება ვერც ბანკს და ვერც მოსარჩელებს მისი ვალდებულებების ინტერპრეტირებაში.
9. მართალია PCM აღიარებს კომპანია „ჯორჯია ურბან ენერჯის“ განზრახვას ენარმოებიან შემდგომი კონსულტაციები საწყისი შეფასების შედეგების ხელმისაწვდომის შემდეგ, ბიომრავალფეროვნების შეფასებისთვის დროის შერჩევა პროექტის ESIA-სთან და EBRD-ს მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებასთან მიმართებაში ნიშნავს, რომ შეუძლებელი იყო მნიშვნელოვანი დიალოგის

წარმოება პროექტის გავლენის ქვეშ მყოფ მხარეებთან, რაც ხელს შეუწყობდა მათ ინფორმირებულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

10. შედეგად, EBRD-მ დაარღვია PR 6.6. ბიომრავალფეროვნებაზე პოტენციური ზემოქმედების თვალსაზრისით, ვინაიდან მან საბჭოს მიერ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სრულად არ დაახასიათა ის რისკები და ზეგავლენები, რომლებიც გამაფრთხილებელ მიდგომას შეესაბამება და რომლებიც დაინტერესებულ მხარეთა წუხილებს ასახავს. მან ასევე დაარღვია PR 1.5 ვინაიდან საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, შეფასება არ ეფუძნებოდა ზუსტ განსაზღვრებებსა და გარემოსდაცვითი ბაზისური მონაცემების დეტალურ აღწერას.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების (ESIA) შესახებ დოკუმენტაციის გამოქვეყნება

საჩივარი აყენებს საკითხს, უნდა გამოქვეყნებულიყო თუ არა პროექტის ESIA დოკუმენტაცია ინგლისურად და ასევე ქართულად. PCM-ი ასკვნის, რომ იმისათვის, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესახებ გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკაში (ESP) ასახული მოთხოვნა შესრულებულიყო და ბსგმ-ს ანგარიში ყველა დაინტერესებული მხარისთვის ყოფილიყო გასაგები, ბსგმ-ს ანგარიში უნდა ყოფილიყო საერთაშორისოდ ხელმისაწვდომ ენაზე და არა მხოლოდ ქართულ ენაზე. ამიტომ, PCM-ი მიიჩნევს, რომ EBRD შესაბამისობაში არ არის ESP-ს ამ მოთხოვნასთან. ცალკე საკითხია ის, რომ EBRD-მ ვერ შეძლო ქართულ ენაზე დაწერილი ბსგმ-ს განხილვა, რასაც უნდა გაემარტივებინა ერგბ-სთვის დოკუმენტაციის მიმოხილვა.

PCM-ი ასკვნის, რომ:

ფარავნის ჰიდროელექტროსადგური (და გადამცემი ხაზი) ადგილობრივი, ეროვნული და გარკვეულწილად რეგიონალური მნიშვნელობის პროექტია და EBRD-ს უნდა უზრუნველყო, რომ პროექტის ბსგმ – მთავარი გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროექტის ზემოქმედებას და რომელიც საქართველოში ნებართვის მიღების და საერთაშორისო დაფინანსების მოპოვებისთვის გამოიყენებოდა, ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა ლეგიტიმური დაინტერესებული მხარისთვის. ეს ასევე უნდა გულისხმობდეს წვდომას საერთაშორისო ხელმისაწვდომ ენაზე, მასზე არასამთავრობო ორგანიზაციების საფუძვლიანი მოთხოვნის შემთხვევაში. ამგვარი საფუძვლიანი მოთხოვნები მიღებულ იქნა, თუმცა მათზე უარი ითქვა. EBRD-მ სწორედ ჩათვალა, რომ ეს ბედმეტი ტვირთი იქნებოდა მისი კლიენტისთვის და რომ თავად უნდა ეთარგმნა და გამოექვეყნებინა დოკუმენტები.

1. ბსგმ-ს (მხოლოდ) ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობა იმას ნიშნავდა, რომ EBRD-ის სპეციალისტები გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში ვერ შეძლებდნენ გაცნობოდნენ მას. EBRD-მ მთელი რიგი წყაროები და კონტაქტები გამოიყენა, რათა შესაბამისი კეთილსინდისიერებით განეხორციელებინა თავისი სამუშაო. თუმცა, ამგვარ სიტუაციას შესაძლოა ემოქმედა EBRD-ის მიერ განხორციელებული ქმედებების დროულობაზე და ESIA-ს ძირითადი ხარვეზები ვერ აღმოჩენილიყო პროექტის განვითარების ადრეულ ეტაპზე, რათა მათი მოგვარება მომხდარიყო ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. PCM-ი მზად არის EBRD-ის თანამშრომლების არგუმენტები მიიღოს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ასე არ ყოფილა, მაგრამ ამის დამოუკიდებლად დასაბუთება ვერ მოხდება საჭაროდ გამოქვეყნებული ნებისმიერი დოკუმენტაციის საფუძველზე. ნაწილობრივი თარგმანი აჩვენებს, რომ გამოქვეყნებული ბსგმ ვერ დააკმაყოფილებდა EBRD-ის მოთხოვნებს და რომ მნიშვნელოვანი დამატებითი ანალიზი იყო საჭირო ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. ამ პოზიციას EBRD-ის შიდა დოკუმენტებიც ამყარებს. EBRD-ის მიერ განხორციელებული არც ერთი დამატებითი ანალიზი არ გასაჯაროვებულა, გარდა რეზიუმეს სახით ბსგმ-ს არატექნიკურ რეზიუმესა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოს დაცვის სამოქმედო გეგმის. ერთადერთი გასაჯაროვებული დოკუმენტი, რომელსაც შესაძლოა დაფუძნებოდა რომელიმე ტექნიკური მიმოხილვა ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, არასრული იყო და ამიტომაც EBRD-იმ ის არ განიხილა.
2. შედეგად, EBRD-მ დაარღვია საქმიანობის განხორციელების შესახებ მოთხოვნების პუნქტი 10.12 და 10.13, რადგანაც ვერ უზრუნველყო შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება და ასევე 10.18, რადგანაც ვერ უზრუნველყო, რომ ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციები „ინფორმაციის მიწოდების“ და „მნიშვნელოვანი კონსულტაციების“ მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებულიყო

სხვა დასკვნები

გემოქმედება სოფელ ხერთვისზე

საჩივრის ერთ ერთი საკითხია, განხორციელდა თუ არა ბსგმ-ს პროცესის ფარგლებში სოფელ ხერთვისის დატბორვის პოტენციალის ადეკვატური შესწავლა. ვინაიდან მდინარე ფარავნიდან წყლის გამწვება მოხდება მდინარის შესართავიდან დაახლოებით 1.5კმ დაშორებით, ნათელია, რომ ამას მოყვება მდინარის დონის მომატება. ბსგმ-ს ანგარიშთან დაკავშირებით გამართული კონსულტაციების დროს ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოხატა შეშფოთება, რის შემდეგაც დატბორვის საკითხის შესწავლა განხორციელდა, ხოლო მისი შედეგები საჯარო განხილვების საგანი გახდა. ზოგიერთი საძოვარი და კუნძული შესაძლოა დატბორვის უფრო მაღალი რისკის ქვეშ მოექცეს წყალდიდობის დროს და შესაბამისი შემამსუბუქებელი ზომები უნდა დაიგეგმოს. მართალია, უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს საკითხი უფრო ადრეულ ეტაპზე მოგვარებულიყო სრულად, მაგრამ ის მოგვარდა ანალიზისა და კონსულტაციების სწორი პროცესის მეშვეობით, და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის ისეთი მნიშვნელოვანია, რომ გავლენას მოახდენდა ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. ამიტომ, PCM-ის ექსპერტი ასკვნის, რომ EBRD-ი შესაბამისობაშია თავის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან ამ საკითხზე, კერძოდ:

1. ბსგმ-ში დატბორვის საკითხის პოტენციურ თემად აღიარების შემდეგ, EBRD-ის უნდა უზრუნველყო, რომ ეს საკითხი ბუნებრივ და სოციალურ გარემოს დაცვის სამოქმედო გეგმაში (ESAP) და ასევე EBRD-ს და „ჯორჯია ურბან ენერჯის“ შორის დადებულ შეთანხმებაში შესულიყო. საკითხი არ შესულა ESAP-ში, თუმცა მოგვიანებით შევიდა EBRD-ს და „ჯორჯია ურბან ენერჯის“ შორის დადებულ დამატებით შეთანხმებაში, საჯარო კონსულტაციების დროს წამოყენებული ნუხილების კვალდაკვალ. ESAP-ში ასევე უნდა ასახულიყო მონიტორინგის და მოდელირების გეგმა, რომელიც საჯარო კონსულტაციების საგანი უნდა გამხდარიყო.
2. „ჯორჯია ურბან ენერჯიმ“ ეფექტურად მოაგვარა ეს საკითხი მონიტორინგის და მოდელირების პროცესის მეშვეობით და ამჟამად ეფექტური საჯარო კონსულტაციები მიმდინარეობს.
3. მიუხედავად გემოთხსენებული ნაკლოვანებებისა, დატბორვის საკითხის ანალიზი, მართვა და შემსუბუქება ადეკვატურად განხორციელდა პროექტის მიმდინარე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ფარგლებში; შედეგად, EBRD არ არღვევს თავის პოლიტიკას ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

საძოვრების ხელმისაწვდომობა

საჩივარში ნათქვამია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას უსამართლოდ ჩამოერთვა უფლება, რომ პროექტის განხორციელების დროს საძოვრებით ესარგებლათ. მართალია სავსებით ნათელია, რომ ხელმისაწვდომობის შეფერხება თითქმის გარდაუვალი იქნებოდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესში, EBRD-მ ქონებაზე ხელმისაწვდომობის დაკარგვის შემთხვევაში კომპენსაციების გადახდის პროცესზე მონიტორინგი განახორციელა. პროექტის განმახორციელებელმა განაცხადა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან რაიმე მნიშვნელოვან უკმაყოფილებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო მოსარჩელემ ვერ შეძლო იმ ადგილობრივი დაზარალებული მოსახლეობის გვარების მიწოდება, ვისთანაც PCM-ი შეძლებდა კონფიდენციალურად გასაუბრებას. PCM-ის მიერ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტის დროს არაინაირი შეზღუდვები არ დაფიქსირებულა, თუმცა ეს იყო მას შემდეგ, რაც გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. ამიტომ, PCM-ს არ შეუძლია დაადასტუროს პრეტენზია ESP-სთან შესაბამისობის თაობაზე.

უდავოა, რომ გარკვეულ შეფერხებებს საძოვრების გამოყენების თვალსაზრისით მართლაც ექნებოდა ადგილი; თუმცა, ამგვარი შეფერხებები თვალნათლივ არ ჩანდა PCM-ის მიერ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტის დროს. EBRD-მ ისეთი რეაგირება მოახდინა, რომელიც შესაბამისობაშია მისი პოლიტიკის მოთხოვნებთან და კვლავაც განაგრძობს იმის გაკონტროლებას, რომ მოხდეს კომპენსაციების გადახდა ნებისმიერი ეკონომიკური ცვლილებების შემთხვევაში, მინის შესყიდვისა და საკომპენსაციო გეგმის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, EBRD-ი შესაბამისობაშია გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან და საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებთან.

ალტერნატივების შეფასება

საჩივრის მეხუთე ასპექტი უკავშირდება იმას, უნდა განხორციელებულიყო თუ არა განახლებადი ენერჯის ალტერნატიული ვარიანტების უფრო ფართო შეფასება. ESP მოთხოვნას უყენებს EBRD-ის, რომ მან უზრუნველყოს ყველა ტექნიკურად და ფინანსურად შესაძლო ალტერნატივის შეფასება ბსგმ-ს ფარგლებში და რომ ასევე გამონაკლის შემთხვევებში განხორციელდეს სტრატეგიული ან რეგიონალური შეფასება. საქართველოს ენერჯო სექტორის ვარიანტების სტრატეგიული შეფასება მსოფლიო ბანკმა განახორციელა 2007 წელს, რომელმაც თავის მხრივ EBRD-ს საქართველოს სტრატეგიის და ფარავანჰესის პროექტის შერჩევის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. PCM-ი მიიჩნევს, რომ ეს ანალიზი ასრულებს ალტერნატივების შეფასების მოთხოვნებს და პროექტის სტრატეგიულ დასაბუთებას წარმოადგენს. ამიტომ, PCM-ი არ უჭერს მხარს პრეტენზიას შეუსაბამობასთან დაკავშირებით. თუმცა, ის ასკვნის, რომ პროექტის დოკუმენტაციაში შესაძლოა უკეთესად წარმოჩენილიყო დასაბუთება და რომ ის გარემოებები, რომლის ფარგლებში სტრატეგიული შეფასება უნდა განხორციელებულიყო, ასევე ბსგმ-ს ფარგლებში განსახორციელებელი ალტერნატივების ანალიზის მასშტაბები უფრო მკაფიო და ნათელი უნდა ყოფილიყო გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკაში.

PCM-ი ასკვნის, რომ:

1. ფარავანის ჰიდროელექტროსადგური (და გადამცემი ხაზი) ადგილობრივი, ეროვნული და გარკვეულწილად რეგიონალური მნიშვნელობის პროექტია და EBRD-ს უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის ბსგმ - მთავარი გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროექტის ზემოქმედებას და რომელიც საქართველოში ნებართვის მიღების და საერთაშორისო დაფინანსების მოპოვებისთვის გამოიყენებოდა, ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა ლეგიტიმური დაინტერესებული მხარისთვის. ეს ასევე უნდა გულისხმობდეს მასზე არასამთავრობო ორგანიზაციების წვდომას საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომ ენაზე, საფუძვლიანი მოთხოვნის შემთხვევაში. ამგვარი საფუძვლიანი მოთხოვნები მიღებულ იქნა, თუმცა მათზე უარი ითქვა. EBRD-მ სწორედ ჩათვალა, რომ ეს ზედმეტი ტვირთი იქნებოდა მისი კლიენტისთვის და რომ თავად უნდა ეთარგმნა და გამოექვეყნებინა დოკუმენტები.

დასკვნა

აქედან გამომდინარე, PCM ადგენს, რომ EBRD არ აკმაყოფილებს თავის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას საჩივრის ექვსი პუნქტიდან სამთან მიმართებაში. ამ პუნქტებიდან ორი ეხება ბიომრავალფეროვნების საკითხებს. PCM ასევე ადგენს, რომ EBRD არ არის შესაბამისობაში საქმიანობის განხორციელების შესახებ მოთხოვნების 1, 6 და 10 პუნქტებთან ფარავანჰესის პროექტთან დაკავშირებით. PCM-მ რეკომენდაციები მოამზადა პოლიტიკასთან და პროცედურულ საკითხებთან, ასევე საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რათა აღმოიფხვრას ის ძირითადი სუსტი მხარეები, რასაც ეს კონკრეტული შეუსაბამობები მოყვა.



მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართული
ტელ: 2 22 38 74; 2 29 27 73; ფაქსი: 2 22 38 74
greenalt@greenalt.org; www.greenalt.org